

ზურაბ ბრაგვაძის სსოვნას

ისტორიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ დავითის ძე ბრაგვაძე დაიბადა 1961 წლის 17 ივლისს.

ზურაბ ბრაგვაძემ 1985 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილი-



ლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1986 წელს მუშაობა დაიწყო შალვა ამირანაშვილის სახ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე, 1992-2004 წლებში ნამყვანი მეცნიერ თანამშრომელია. 1993-1994 წლებში ზურაბ ბრაგვაძე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის სწავლული მდივანის თანამდებობაზეა. 1994 წელს ზურაბ ბრაგვაძე ამავე მუზეუმის წინა ქრისტიანული ხელოვნებისა და არქეოლოგიის განყოფილების გამგის თანამდებობაზე ინიშნება, რომელსაც 2004 წლამდე იკავებს. 2004-2007 წლებში საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერე-

ბის, კულტურისა და სპორტის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტია. 2012-2013 წლებში ის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეა, 2013-2015 წლებში კი სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტის მოვალეობას ასრულებს.

ზურაბ ბრაგვაძე 2007 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი იყო.

ზურაბ ბრაგვაძე ორი სახელმძღვანელო, ასორმოცდაათი სტატიის და ცხრა მონოგრაფიის ავტორია. იგი სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმების თუ კონფერენციების მუშაობაში, არაერთი საგრანტო პროექტის მონაწილე და ხელმძღვანელი იყო.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ზურაბ ბრაგვაძე პედაგოგიურ საქმიანობასაც წარმატებით უძღვებოდა. 1992-2003 წლებში ის ეკონომიკური

ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი და საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი იყო, 1999-2005 წლებში აპ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მონვეული ლექტორია, 2010 წელს კი საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მონვეული ლექტორია. 2011 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

ზურაბ ბრატგვამცხე საქართველოს ძველი ისტორიის მრავალი საკითხი აინტერესებდა და ანტიკური ხანის იბერია-ქართლის ისტორიის კვლევას არაერთი სტატია მიუძღვნა. თუმცა, მის მოღვაწეობაში უდიდესი ადგილი არქეოლოგიას ეკავა. ის სტუდენტობის დროიდანვე მონაწილეობდა სხვადასხვა არქეოლოგიურ სამუშაოებში. პირველი შეხება მინაში ჩამარხულ უძველეს ისტორიასთან მარტყოფის ველზე ყორღანების გათხრებისას სტუდენტური პრაქტიკის დროს მიიღო. მას შემდეგ მან არაერთი ექსპედიციის (საირხე, ჭიათურა, ყვირილის ხეობა, თერჯოლა, თრიალეთი, მცხეთა, თელავი, ხვამლი) მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. სხვადასხვა დროს კი თვითონ ხელმძღვანელობდა აღმოსავლეთ კოლხეთის, თერჯოლის, ზესტაფონის, სვერის ციხის, ტაბახმელის არქეოლოგიურ ექსპედიციებს. 2019-2021 წლებში ითხვისის ნაქალაქარის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია. 2022 წელს კი სათავეში ჩაუდგა საჩხერის არქეოლოგიურ ექსპედიციას და ფუნდამენტური კვლევისთვის შესაბამისი პროექტიც ჰქონდა. თუმცა, დიდი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოასწრო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ზურაბ ბრატგვამცხე პირველად ქართული არქეოლოგიის ისტორიაში საბრძოლო მოქმედების ადგილის არქეოლოგიური კვლევა განახორციელა და ეს სამუშაოები 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ველზე მიმდინარეობდა. ეს სამუშაო მას განსაკუთრებით ეამაყებოდა. სამწუხაროდ მან მხოლოდ ორი მცირე სტატიის (1. „ტაბახმელის 4 სანგარზე 2017 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში“, 2. „პირველი რესპუბლიკის ბრძოლები დამოუკიდებლობის შენარჩუნებისთვის. ტაბახმელის მეოთხე სანგრის არქეოლოგიური კვლევა. საქართველოს დემოკრატიული რესპურლიკა, 1918-1921 ახალი ეპოქის დასაწყისი“) გამოქვეყნება მოასწრო სიცოცხლეში. კიდევ ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი.

ზურაბ ბრატგვამცხის უდროოდ გარდაცვალება ქართული საისტორიო მეცნიერებისთვის დიდი დანაკლისია.

ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, ღირსეული პიროვნება და შესანიშნავი არქეოლოგი.